№ 145 ივლისი 16, ხუთშაბათი — 1887 — ივლისი 16, ხუთშაბათი № 145

ბიბლიოთეკის ბეჭედი

# ივერია


გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



შინაარსი: ტფილისი, 15 ივლისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: სოფ. ჯიმითი.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ა) გლეხური ლექსები; ბ) ამირან დარეჯანაშვილი (ქართული ლეგენდა).


ტფილისი, 15 ივლისი

«Крестьянскій Банкъ»-ის ავტორმა მეორე წერილში აღარა სთქვა რა იმაზედ თუ,—რა გვარ მოუხერხდეს გლეხ-კაცობას გაძლოვლიობის ძნელად გასაძლოლის გარემოებისა, რომელიც თვითონ ავტორის სიტყვების აუცილებელ შედეგად გამოდის: ერთი იმისი, რომ იეფი მამული ძვირად აყიდვინოს, და მეორე იმისი, რომ ძვირი ფული იეფად აშოვნინოს სესხით იმ მამულის სასყიდლად. ამ ორს წამალ დაუდებელს და ერთობ ფიქრად შეუწყნარებელს გარემოებას ავტორმა მეორე წერილში ყურიც აღარ ათხოვა და სრულებით თავი დაანება. მის მაგიერ თვის სამართლიან სასახელოდ ისევ ის სანატრელი აზრი დაიყენა წინ მისაღწევად, რაც შესაძლებელია და რაც ლოღიკურის მსჯელობით გამოდიოდა მის სხვა წყობა-სიტყვებისაგან. იგი აზრი ის არის, რომ მამული, ვითარცა გამოსარჩომი სახსარი, საქმიანს კაცს ჩაუგდოს ხელში*). ამ სახით, პირვანდელი აზრი**) ავტორისა, რომ გლეხ-კაცები სავაჭროდ მოზიდულ იქმნან, რათა მამულების ფასი ასწიონ ერთმანეთის ცილობითა და მამულის პატრონები ამით ახეირონ, თავით ფეხამდე ჩაილულის წყალს გაჰყვა. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო, სწორედ ამისთანა აზრზეა ზედ-გამოჭრილი.

ხოლო რადგანაც ავტორმა ერთიცა სთქვა და მეორეც, სჩანს ფიქრად ისა ჰქონია, რომ გლეხ-კაცობის მამულების სავაჭროდ მოზიდვისაგან ორ-ნაირი სიკეთე გამოვაო: ერთი, რომ მამულების ფასი აიწევს და მამულის პატრონებს არგებსო და მეორე, რომ მამული მშრომელს ხელს ჩაუვარდება და ქვეყანა მოიგებსო. ჭეშმარიტი და გულ-მართალი პოლემიკა, ღირსი ღირსეულის კაცისა, არ უნდა გამოეკიდოს სიტყვა-ნაკლებობას და ზოგჯერ აუცილებელ სიჩქარისაგან წარმომდგარი აზრთ დაუსრულებლობა ხელზედ არ უნდა დაიხვიოს მოპირისპირის საცტევრად. ჩვენც ჩვენის საკუთარის თავისა და ამასთანავე ავტორის პატივის-ცემისათვის გავკადნიერდით და ეს ორი აზრი ერთმანეთთან ასე მოვარიგეთ, ასე დავუახლოვეთ, რადგანაც ჩვენს თავს თავის დღეში ნებას არ მივცემთ გვეფიქრნა, —ვითომც ავტორს სდომებიყოს გლეხ-კაცნი მარტო იმისათვის მიიწვიოს მამულების სავაჭროდ, რომ პატრონებს მამული ხეირიანად გაუნაღდონ. მთელი ორი მისი წერილი სულით და გულით ამისი წინააღმდეგია და გლეხ-კაცის გულ-შემატკივრობით არის გამოწვეული. და თუ აქ ავტორის მიერ ბრალია რამე, მარტო აზრის დაუმთავრებლობაა, დაუსრულებლობაა.

მაშასადამე, ავტორს ფიქრად ჰქონია უწამლოს რამე უდიდესს ნაღველს ჩვენის საუკუნისას, რომ მამული, რა-კი გადის, მშრომელს კაცს ჩაუვარდეს ხელში და თუ ამ მხრით დაიძვრის სურვილი მამულების შეძენისა, ეჭვი არ არის მამულის პატრონიც ხეირსა ჰნახავს, რადგანაც მშრომელი ხელი, სახელდობრ, გლეხ-კაცობა ბევრია და ამით სასყიდელი ფასი მამულისა აიწევს და ისე ჩალის ფასად აღარ გავა, როგორც დღეს. ეს მეორე სიკეთე უნებური შედეგია და არა წინ დაყენებული, მისაღწევად დანიშნული საგანი პირველისა.

რა გზით შეეწყოს ხელი, რომ მშრომელს, საქმიანს ხელს ჩაუგდოს კაცმა გასასყიდი მამული? გლეხ-კაცს ამისათვის საკუთარი ფული არა აქვსო, ამბობს სამართლიანად ავტორი: მაშასადამე ხელმისაწვდენი სესხი უნდა ვუშოვოთო. ამისთანა სესხი შეეძლოთ ეძლიათ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებსაო. მაგრამ ამ თოთხმეტის წლის წინად ბევრი ვიძახეთ სიტყვით და წერითა, ისე მოაწყეთ საქმე, ისეთი მუხლები შეიტანეთ ბანკის წესდებაშია, რომ გლეხ-კაცს გაუადვილდეს მამულების სყიდვაო, ხოლო ყური არავინ გვათხოვა და ეხლა ხომ ამაზედ ხმასაც არავინ იღებსო. მაშ, აქაურ მიწათ-მფლობელობის საქმის დახლართვას და საქმის წახდენას რომ ამბობდა ავტორი და ბრალს აქაურს ბანკებსა სდებდა, სწორედ ეს ბრალი უნდა იყოს. ეს დავიხსომოთ, შემდეგში გამოგვადგება.

ეხლა-კი გამოვარკვიოთ,—ჩვენის ბანკებისაგან უნუგეშოდ დარჩენილს გლეხ-კაცობას რა წამალსა სდებს ავტორი. იგი ამბობს, რომ ორში ერთი უნდა მოხდესო: ან საგლეხ-კაცო ბანკი სახელმწიფოსი გაიმართოს ჩვენში, როგორც რუსეთში არისო, ან ჩვენის ბანკების წესდებაში შევიტანოთ იგი მუხლნი, რომელნიც ამ საქმისათვის აუცილებელნი და გამოსადეგნი არიანო. რა მუხლებია ამისთანა, ავტორი ამაზედ არ-რას ამბობს და ერთობ ამაზედ მეტს და ამაზედ ვრცლად აღარაფერსა ჰმოძღვრობს და წერილებს ათავებს იმ იმედით, რომ ვისიც ჯერ არს, იგი ყურად იღებს და ამ დაუხანებელს საქმეს განახორციელებსო.

*) Осуществленіе величайшаго стремленія нашего вѣка—перехода орудій труда въ руки трудящихся. იხილე „Новое Обозрѣніе“ № 1220.

**) აი ამის შესახები სიტყვები ავტორისა, რომელიც ამბობს რა, ერთი გზა-ღაა სახსნელიო, ამ რიგად გვანიშნებს ამ გზას: призвать и привлечь къ участію въ торгахъ такую массу покупателей, которая довела бы торги до благопріятнаго результата: до предложенія за продаваемыя имѣнія цѣнъ, сколько нибудь соотвѣтствующихъ дѣйствительности ... „Если, значитъ, кого и можно привлечь къ торгамъ, то, несомнѣнно, это будутъ крестьяне“... და სხვანი.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ საღამოს ტფილისის რკინი-გზის სახელოსნოს სახარატო განყოფილებაში, ჩარხმა მოკლა ერთი ხელოსანი - ხარატი. ეს უბედური შემთხვევა ამ გვარად მომხდარიყო: ჩარხს ზევით რაღაც მოჰშლოდა და მის გასაკეთებლად ასულიყო ხარატი. უეცრივ გადაპბრუნებოდა ჩარხი, გადმოვარდნილიყო საცოდავი ხარატი ძირს, ხელსაწყოებზე დაცემულიყო თავით და იქვე ტვინი გადმოჰდენოდა და სულიც განეტევებინა.

*** სამშაბათ საღამოს საათის ათზე ვიღაც შეზარხოშებული კინტოები დახვეცროდნენ ვერის ახალ ხიდთან ერთს ნაც—შვილს, მოენდომათ გაცარცვა და დაეწყოთ ჩხუბი, მაგრამ რადგანაც ნაც—შვილი საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდა, გაუძალია-

# ფელეტონი

## გლეხური ლექსები

(შეკრებილი ს. ლონდამისაგან.*)

ღმერთი ძრიელ დაიტანჯა
კაცას გამოსახვისათვის;
ახლო-ახლო დაგვასახლა
ერთმანერთის ნახვისათვის.

—

ლალსა ზედა ლალი დავდგი,
ბროლსა ზედა მილამქარი;
შვილო, შენი სიყვარული
არ გამყრია, ჯერ აქ არი.
სულისათვის სულს მოგართმევ,
თუ რომ მოგიტანდეს ქარი,
მაგრამ ქარი ვერ მოგიტანს,
შევიქნები შენგნივ მკვდარი.

—

ქეთევან შენი სითეთრე
უმტკვერო ქაღალდს გიგავსო;
კერვინ შეგატყობს მოწყენას,
პირი სამოთხეს გიგავსო;
ზეზე მდგომმა კაცმა გნახოს
ამას იტყვის, ალვა დგასო.

—

მუხრანელი ქალი ვიყავ,
დავიწნავდი ლალალ კავს,
სარკეში რო გავიხედავ,
მოვიწონებ ჩემსა თავსა,
ცისკრის ლოცვაზე რო წავალ,
ვაყ-კაცს გადავავლებ თვალსა,
თუ ვაყ-კაცი მომეწონა,
თვალიც დაუდგება ქმარსა.
დედამთილი მემუქრება,
მამამთილი მიქნევს თავსა.
რას მემუქრი მამამთილო?
. . . . . . . .
წრეულს გიყიდი გუთნეულს,
სამერმისოდ კალოს ხარსა...

—

რძლების მიწერ-მოწერა

წიგნი არ მომიწერია
ჯერ ამის მეტად რძლისთვინა,
მოკითხვა არ შემითვლია
იმ ტურფა ლამაზისთვინა,
ნეტავი, რძალო, იმ დღესა,
ჩემს მაზლს მოჰყავდე ცხენითა,
ანბავი რამე მკითხოს,
გებმანოს ტკბილის ენითა.

პასუხი

შენ რომ წიგნი მოგეწერა,
გარედ ვიჯექ კარდის ხდილსა.
დავწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-ტკბილსა.
წავიკითხე და ვაკოცე,
ვაკოცებ და მოვსჭამ შირსა;
ღამე უბეში ჩავიდებ,
არ ვაღირსებ თვალსა ძილსა.
მაღლა კზივარ და წიგნსა ვსწერ,
წვერი მიტყდება კალამსა;
ჩემი თავი მოგასხსენებს
შორით მადლსა და სალამსა.

—

აქედგან რო შემოგხედე
წარბი წვრილად აგეყარა,
ბადრი პირი, გიშრის თმანი,
მხარ ბეჭებზედ გადგეყარა,
ათი თითი ბროლისანი
მუხლებზედა დაგეყარა,
ოქროს თასით ჩაის სვამდი,
შიგ შაქარი ჩაგეყარა.
სიკვდილსა შენთვის სანაცლოდ
ჩემს თავს მივსცემ და შენ არა.
ვაი თუ ეს დამემართოს:
მე მიყვარდე და შენ არა.
თვალი გიმზერდა, სამოთხევ!
შემკული კილოებითა,
გაქვბენ ფოლოსოფოსნი,
თავს ვერ გაქვსვლიან ქებითა...
ნურც მეღირსება სამოთხე,
მოგშორდე ჩემის ნებითა.

—

წარბ-მაღალსა, წამწამ-წვრილსა,
წიგნო, მიერთვი იმ ქალსა,
ბულბულსა, ენად შაქარსა,
ხმა წვრილად მოუბარსა,—
მალე მიბოძოს ბარათი,
სულიც არ გამეპაროსა.

—

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
ბევრით მე ვჯობივარ მზესა;
დავჯდა, დაწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რო კაცი მიუვადა,
მზე მალიან გაჯავრდესა:
მე და ვარ და ის ძმა არის,
რათ ვძულდებით ერთმანერთსა.
ავი ამინდი რო დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;
ცივან კაცს ხომ ვერ გაათბობს,
თუ არ დაინთებდა ცეცხლსა.
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხევით ღამის მეხრესა.
ღამის მეხრე დაიბარეს,
ულვაშებზე ისვამს ხელსა.
დაჯე, ბიჭო, სწორედა სთქვი,
თორემ მაგცემთ სატანჯველსა.
დასვეს და ალაპარაკეს,
მეუფე ყურს დაუგდებსა.
„მე უმზეოთ ვერ გავძლებ,
ღამე კი გავატანვ ბნელსა.
დღისით შევზვერავ ბალახებს,
ღამით იქ მივრეკავ ხარსა.“
ერთი მაზარა უბოძეს,
ღამე მავალია ესა.
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,
ორთავე შაარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
თავის ტყავსა მოათრევსა;
გათენებისას ამოდის,
პანდური ჰკრეს, გაგდესა.
შუქურ-ვარსკვლავი მიბმანდა,
ის მალიან დაათვრესა;
სალათი გამოუცვალეს,
გაი ჩოხაც ჩააცვესა...

—

სულ-ხორცის გ'ყრა ვიფიქროთ,
ვნახოთ, რა საზარელია;
მეტადრე ცოდვილისათვის
სულის ამოსვლა ძნელია.
დაგდო ფესის ფრჩხილები,
ბაგეს ეცვალა ფერია;
არავინა გვყავს პატრონი,
გულზედ მოგვისვას ხელია.
ამ დროს არ გამოგვადგება,
თუ გინდა გვყავდეს შვილია;
მოუსაროდეს ეშმაკსა,
მოჰქონდეს ხელ-წერილია:
სხვა-და-სხვა ცოდვის ბარათი,
ეშმაკის დაბეჭვილია,
სულის ამოსვლას ჩქარობდეს,
მწარედ ეშმაკის კბილია.
გვევედროთ წმინდა ღვთის-მშობელს,
ის არის ჩვენი მხსნელია.
ღვთისაგანაც მაქვს იმედი,
ცოდვილის მწყალობელია.
მან თავისებრივ შერისხოს
ეშმაკი საშინელია,
დასწყევლოს თავის რისხვითა,
განაგდოს ცარიელია;
უბძანოს მიქელს, გაბრიელს,
ორთავ მომკიდონ ხელია.
უშიშრად გამარონინონ,
მარტო ვარ წასასვლელია.
არ გებრალებით მოყვასნო,
მე ამ სოფლისგან გავედო;
ვინ გამომიყვანს იქიდგან,
თუ ჯოჯოხეთში შაველო.
დაჭრილი, დაკოდილი ვარ,
ღმერთო, წყალობა მიყაო!
ღმერთო ამას გეხვეწები:
მიბოძე ცრემლის მილია,
ნუ დამსჯი მე საუკუნეს,
მე ვარ ემბაზის შვილია!

—

იმისი სული გრულია,
რაც ქალი ჟიდოს ქმარსაო,

*) რადგანაც ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენგნით შეკრებილი ლექსები ჩვენვე დავბეჭდოთ ცალკე წიგნად, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ყველასა, ნურავინ ინებებს „ივერიიდგან“ გადაბეჭდვას ჩვენ მიერ შეკრებილ ლექსებისას და სხვა ნაწარმოებისას.
ს. ლონდაძე

ნდა ცოტა ხანს და, როდესაც შეატყო თავის თავს, რომ ექვს კინტო ბიჭებთან ვერას გახდებოდა და არც იარაღი ჰქონდა თან, ამისათვის მოიხმარა უკანასკნელი ღონე: მიიბერტყ-მოიბერტყა მძლავრის მუშტებით გარშემოხვეული კინტოები და გადეშვა მტკვრისაკენ, ყორღანაშვილის წყლის ქარხნისკენ. ამ ჩხუბზე და ღრიანცელზე მოვიდა ორი პოლიციელი. კინტოებმა პოლიციელთაც დაუწყეს ყვირილი: „ჩვენ ვიღაც ერთი კაცი გვცარცვავდა და თქვენ სად იყავითო?“

— ექვსს კაცს ერთი კაცი როგორ გაგცარცვავდათო? წამოდით პოლიციაში, ჩვენ გიცნობთ, ვინცა ჰბძანდებითო.

ერთი გიჟუა კინტო გაუძალიანდათ — არ მიჰყვებოდათ. მაშინ დაუძახეს სხვა პოლიციელებსაც და წაიყვანეს ყველანი.

*** ტფილისის პროგიმნაზიის კარებზე გამოკრულია ამ სასწავლებლის განცხადება, რომ წელს აქ დაიკეტა მოსამზადებელი კლასსები და ამიტომ თხოვნა აღარ მიიღებაო. ხოლო, რადგან შემოდგომიდამ მიღებულ უნდა იქმნენ შეგირდები მესამე და მეოთხე კლასში, მშობლებს და ნათესავებს ნება აქვთ თხოვნა შემოიტანონ ხსენებულ კლასსებში ყმაწვილების მოცემაზეო. კვირაში სამი დღეა დანიშნული, როცა თხოვნა უნდა შეიტანონ ხოლმე.

*** სოფ. წევიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ, რომ აქაური სამრევლო სკოლა ძალიან შეწუხებულიაო. საქმე ის არის, რომ ამ სკოლას არამც თუ შესაფერი სადგომი არა აქვს, არამედ ამ ჟამად სრულიადაც უსახლოდ არის. ბ-ნს მასწავლებელს, სოფლის მღვდელს, სკოლა თავდაპირველად გაემართა თავის მამის სახლში, მერე იძულებული იყო გადაეტანა სხვა სახლში, მაგრამ ეს სადგომი ყოველ მხრით უვარგისი გამოდგა, იმოდენად უვარგისია, რომ მასწავლებელს შეეშინდა, ვაითუ სახლი სრულიად დაინგრესო. ამიტომაც სკოლა იქიდამაც გადაიტანა და, რადგანაც სწავლის შეჩერება არ უნდოდა და თანაც სადგომი არ ჰქონდა, იძულებული შეიქნა ყმაწვილებისათვის ესწავლებინა ცის ქვეშ, ხის ძირში. უნდა ვსთქვათ მართალიო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ მასწავლებელი, თუმცა ამ გვარ ცუდ გარემოებაშია მოქცეული, ძალიან გულ-მოდგინედ და ენერგიულად ეკიდება თვისს საქმესაო. კორრესპონდენტი უმატებს: სოფელი წევა იმოდენად მდიდარია, რომ სკოლისათვის შეუძლიან საკუთარი სახლი აიშენოს, წევის თემი რომ გულ-გრილი და დაუდევარი არ იყოსო.

*** დაბა სურამი უფრო-და-უფრო მომეტებულს ხალხს იზიდავს საზაფხულოდ. მართალია, სურამს მშვენიერი მიდამო აქვს გარშემო და რომელ მხარესაც-კი წავა კაცი სასეირნოდა, ყველგან ისიამოვნებს, მაგრამ მაინც ერთი ფრიად დიდი ნაკლი აქვს: სურამს შუა-გულში არა აქვს ისეთი ადგილი, სადაც მცხოვრებთ შეეძლოთ თავის მოყრა, არ არის არც სასეირნო ბაღი და არც თავისუფალი მოედანი. მთელი დაბა თავიდამ ბოლომდის გაშენებულია სახლებით, რომელთა შორის ზოგნი ერთმანეთზე არიან მიკრულნი და ზოგნი-კი ძრიელ ცოტად დაშორებულნი.

ერთის მხრით იქნება სურამის ამ გვარი მოწყობილობა იყო მიზეზი, რომ აქამდის დაბას არა ჰქონდა სასეირნო ბაღი, ანუ, რაც უფრო ჰკუასთან ახლოა, საჭიროებას არავინა ჰგრძნობდა და არცა-რა ვინა ნაღვლობდა ამისთანა ადგილებზე.

საზაფხულოდ მოსული ხალხი, ტფილისში გაჩვეული საქალაქო ბაღებში თავის მოყრას, ჰგრძნობდა ამ ნაკლულევანებასა და აი ეხლა, როგორცა გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, ქ-ნმა ინჟენერ მოატის ცოლმა, თავს იდო მოსაწონი საქმე და შეუდგა სასეირნო ალაგი გაუჩინოს დაბა სურამსა. რაკი შუა-გულში სურამს არა ჰქონდა თავისუფალი მოედანი, ქ-მა მოატმა დაითანხმა ერთი სურამელთაგანი, რომელმაც დაუთმო თავისი მამული სურამის განაპირას, რკინი-გზის სადგურთან, სადაც აქამდის წვრილი მუხნარი იზდებოდა. ეს პატარა ტყე ამოსჭრეს და მარტო შიგ-და-შიგ გაუშვეს თითო ხე, რომ თავისუფლად მალე გაიზარდოს, გააკეთეს გზები და დააყარეს ქვა-კენჭი. იმედია, რომ ეს ბაღი დიდს ხანს არ მოინდომებს თავის გასამშვენიერებლად და მგონი მერმისვე კარგ სასეირნო ადგილად გარდაიქცესო, უმატებს ჩვენი კორრესპონდენტი.

*** გორიდამ გვწერენ: თეატრის მოყვარეთ წარმოადგინეს ხიდის-თავში რაფიელ ერისთავის კომედია „ადვოკატები“. წარმოდგენა იყო გამართული ერთს დიდს ეზოში, მაღალ კაკლის ქვეშ. ხალხი, სოფლის შესაფერად, ძალიან ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება იქონია მსმენელ ებზე, რომელთა შორის ბევრი გლეხიც იყო. დიდად ასიამოვნა დამსწრენი და ერთობ სალამო გააცოცხლა პატივცემულმა სოფრონ მგალობლიშვილმა, რომელმაც აღასრულა გლეხის როლი და ისე რიგიანად ითამაშა, რომ მდაბიო ხალხს თვალ-წინ წარმოუდგა თავის მოძმე, დატანჯული მუზმუზელა ვაჭრებისაგან და უსინიდისო „ადვოკატისაგან“. მოთამაშეს საზოგადოებამ ტაშის-კვრით უძღვნა მადლობა. ამავე მოთამაშემ პირველის მოქმედების შემდეგ წაიკითხა გლეხების ცხოვრებიდამ ხცენები, რომლებიც დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ. სხვა როლები ამ გვარად იყო დარიგებული: ბ-ნი ტატიშვილი (ადვოკატი მილოვი) ლევ. ალექსი-ძე (მილოვის მწერალი), ბ-ნი კავკასიძე (თავ. ამაყაძე), ბ-ნი შაქრო ოქუაშვილი (არუთინა ვაჭარი), დ. კარიჭაშვილი (ადვოკატი მორგვაძე), ქ. მარიამ ტიტიშვილისა (თამარ ამაყაძის ქალი). ქ. პელაგია ოქუაშვილისამ აღასრულა მაჭანკლის როლი. ყველა ამ ზემოხსენებულ სცენის მოყვარეებმა ხეირიანად ითამაშეს. წარმოდგენა გათავდა ლეკურის თამაშობით, რომელშიაც საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა. მეთორმეტე საათზე ხალხი დიდად კმაყოფილი დაიშალა და იმედი აქვს, რომ კიდევ გამართვენ წარმოდგენას და სალიტერატურო-სამუსიკო სალამოს.

*** სიღნაღიდამ ბაკურციხის სასოფლო სკოლის შეგირდებმა მოგვმართეს შემდეგის თხოვნით: „ქიზიყში ჩვენის სოფლის გლეხობა ყველა სოფლის გლეხობაზე ჩამორჩომილია სწავლა-განათლებაში. ამას ჩვენ, მოზარდი გლეხის-შვილები, კარგადა ვგრძნობთ და სწავლის სურვილი გვაბედინებს მივმართოთ «ივერიის» შემწეობით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რათა მან მოჰხედოს ჩვენს გაჭირვებას და ხელი შეგვიწყოს ისე, როგორადაც სხვა სკოლებს უმართავს ხელსა. თორემ ჩვენი შემწყნარებელი არსაიდამ გამოჩნდა — არც ვინმე ცალკე კაცი მადლიანი და არც რამ საზოგადოება. ჩვენ დიდის გულ-მოდგინებით გვინდა, რომ ვიცოდეთ ჩვენი ნაკლულევანება, გავიგოთ, რად გვეძახიან ჩვენი დაწინაურებული მოძმენი „უმეცრებს“, „ცრუ-მორწმუნეთ“ და სხვა. შევიტყოთ, რა არის ცრუ-მორწმუნება, რა ცუდი მხარე აქვს ჩვენთვის და რითი დავეღწევით იმასა. ამიტომ ვთხოვთ „საზოგადოებას“ დიდად დაგვავალოს და გამოგვიგზავნოს უსასყიდლოდ რამდენიმე სახელმძღვანელო და სახალხოდ საკითხავი წიგნაკები, რომ შევიტყოთ რამ ქვეყნიერობისა და არ ვიყვნეთ სამუდამოდ ჩამორჩომილნი არც სხვა გლეხობაზე და არც მაგრე რიგად უკან ვიდგნეთ იმ ბედნიერ მოძმეებზე, რომელნიც დღეს სიბრალულით გვიყურებენ ჩვენთვის მიუწდომელს სიმაღლიდამ. ამით მეორე თხოვნა იქნება ჩვენ მიერ მიმართული „საზოგადოებისაკენ“. თუ ეხლაც ჩვენი წყურვილი სწავლისა მარტო წყურვილად დაგვირჩა და უნუგეშოდ დაგვტოვა «საზოგადოებამ», მაშინ ჩვენ მეტი გზა აღარ დაგვრჩება, უნდა ავიბაროთ პირი და, ყველასაგან მოძულებულნი, წყალში გადავცვივდეთ. უკეთუ „საზოგადოებამ“ გაგვაბედნიერა და შეიწყნარა ჩვენი მხურვალე თხოვნა, წიგნები გამოგვიგზავნოს შემდეგის ადრესით: სოფელ ბაკურციხის მღვდელს, მამა მაჭავარიანს“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“ მიჰხედავს ბაკურციხელ სოფლის შეგირდებს და აღუსრულებს სათხოვარსა.

*** წელსაო, ამბობს გაზ. „Тифлисскій Листокъ“-ი, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში დაასრულეს სწავლა თოთხმეტმა შეგირდმა და ამათში ექვსი სომეხიაო. დანარჩენ რვა კაცზე-კი გაზეთი ხმასაც არ იღებს. არ ვიცით, ამ გაზეთის პატივ საცემ მოამბეს როგორ მოჰსვლია, რომ გამოჰპარვია სხვა შეგირდების მოდგმა და ჩამომავლობა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში მეოთხე წერილის მესამე სვეტის ბოლოს სწერია სიტყვა „გაუვა“, უნდა იყოს — „მოუვა“.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჯიმითი (კახეთი), 10-ივლისს. აგერ ეს ორს კვირაზე მეტი იქნება, რაც ს. კაჭრეთში საქონლის ჭირი გაჩნდა და ძალიანაც მოედვა პირუტყვს. ამ ჭირის სახელი აქაც არ იციან. ჭირი ამ ნაირად უჩნდება: საქონელი საჭმელს აღარა სჭამს, ყელი უსივდება, ხუთი ან ექვსი დღე ამ

---

კოსტასა, ხმშარტავანსა,
უწყრო გაყიგაცსაო.
წუხელი ღამით მობძანდა,
შუა-ღამისა ხანსაო,
წყრომითა შემოიძახა:
„ადექ შე ბოზო, დიაცო,
რათ არ გამიღებ კარსაო!“
ადექ, ავანთე სანთელი,
ფიცხლავ მივარდი კარსაო,
ოქროსა სკამი მივართვი,
დაბძანდი ღვთისა მზესაო.
ჩემის სადილად ვიახელ,
მუსტი მიღერა უბასაო:
„ადექ შე კახპავ, დიაცო,
რათ არ გაიღი კარსაო“.
ადექ და გამოვიარე,
დავეკარ შარა-გზასაო.
შევხედე, გამამდგომია,
მოიბრიალებს ხმალსაო.
გავშორდი და გადავძახე,
ივანეს, ჩემსა ძმასაო.
დას გიკვლენ და გიხანჯლავენ,
ცხვარივით სჭრიან თავსაო.
აგ შენი ოქროს ბეჭედი
გამოუგზავნე დასაო.
შენსა დას წაიყვანებენ
შვიდის წლის სავალს გზასაო;
შეუკვრენ შვიდსა ფიცარსა,
შეაცურებენ ზღვასაო.
ზღვა დაჰკრავს, ქვიშა დაჰფლავს
ძუძუ კოკობსა ქალსაო.
იმისი ქამხის სარტყელი
გარ შემოურტყავს ზღვასაო;
იმისი მოვის შერანგი
თავს დაფიფინებს ზღვასაო;
იმისი გიშრის თმანები
თევზს მიაქვს საბუდარსაო;
მისი ლამაზი თვალები
ამოუსილავს ზღვასაო.

# ამირან დარუჯანაშვილი

(ქართული ლეგენდა *)

## I

სამნი ძმანი იყვნენ; ერთს მათგანს ერქვა სულკალმახი, მეორეს ბადრი და მესამესაც უსუპ; გვარად დარუჯანაშვილები იყვნენ.

უსუპს ერთი რკინის ქუდი ჰქონდა; დაიხურავდა ამ ქუდს, ავიდოდა ალვის ხეზედ, რომელიც იქვე კარზედ ედგა და ერთს ისეთს საშინლად დაიყვირებდა, რომ დევებს იმის შიშით ძღვნები მოჰქონდათ.

ერთხელ უსუპი სანადიროდ წამოვიდა; ნადირობის დროს ერთს მთიანს ადგილას კოშკი ნახა. ახლოს რომ მივიდა, შეიტყო, რომ კოშკში მზეთუნახავი ქალი ზისო. უსუპი კოშკში შევიდა და სამი დღე-და-ღამე დაჰყო ამ ქალთან. უსუპმა უთხრა ქალსა:

— ახლა-კი ჩემის წასვლის დროა. აი ეს ალმასის ბეჭედი. მე ამ სამს დღეში მოვკვდები და შენ თავს კარგად მოუარე და გაუფრთხილდი; ქალი მოგეცეს, — ეს ალმასი იმისი იყოს, ვაჟი მოგეცეს, — თავის თავს დაირჩენსო.

უსუპი წამოვიდა და მართლა სამს დღეს უკან მოკვდა. დევებმა რა გაიგეს, რო უსუპი აღარ არისო, ბადრი და სულკალმახი დაიბრიყვეს და მელვინეებად დაიყენეს.

ქალს მიეცა ვაჟი, რომელსაც მუცლიდამ მოკლე ხმალი დაჰყვა.

ეს პატარა ბავშვი უფალმა თავის ხელით მონათლა და სახელად ამირანი უწოდა. ვინც წლით იზრდებოდა, ამირანი დღით იზრდებოდა, ასე რომ ათის წლის ამირანს ფიცხელის ომის გარდახდა კიდეც შეეძლო.

ერთხელ ამირანმა კოშკიდამ გამოიხედა და დაინახა დედაკაცი, რომელსაც კოკით წყალი მიჰქონდა. ამირანმა თავის დედას უთხრა:

— დამენაძლევე აიმ დედაკაცს კოკა გაუტეხო და დედაკაცს-კი არა ვაენო-რაო?

მართლადაც გაისროლა მშვილდით ისარი და დედაკაცს კოკა გაუტეხა. დედაკაცი გაჯავრდა და სთქვა:

— დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, — დედის ერთა ხარ; თუ აგრე კაი ვაჟკაცი ხარ, წახვალ და დევებისაგან დაიხსნი შენ ბიძებს, რომელნიც დევების მელვინეობას ვერ ასდიანო.

ამირანი გაოცდა: ნუ თუ მე ბიძები მყვანან და იმათი ვინაობა-კი არ ვიციო!

წამოვიდა და უთხრა დედას:

— ძუძუ მომაწოვეო!

მოუჭირა კბილი ძუძუზე და ჰკითხა:

— ბიძები მყავსო?

დედა ჯერ უარს ეუბნებოდა და, როცა ამირანმა ძრიელ მოუჭირა ძუძუზედ კბილი, ბოლოს უთხრა:

— გყავსო. ერთსა ჰქვიან ბადრი, მეორეს სულკალმახიო.

მაშინვე ადგა ამირანი და წამოვიდა ბიძების საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, იპოვნა ბიძები და შესძახა:

— ოჯახის შვილო, კარზედ გამოდიო!

ერთი ბიძა გამოვიდა კარზედ და, როგორც დაინახა ამირანი, იფიქრა: ეს ჩემს ძმას უსუპსა ჰგავსო.

— პური მშიან, მაჭამეო, — უთხრა ამირანმა.

— ჩაიარე ბაღში, ხილი იხილე, ჩრდილი იჩრდილე და იქ მოგართმევო, — უთხრა ამირანს ბიძამა და თან გაჰყვა, რომ დევებს არა დაეშავებინათ-რა.

დევები მართლაც ამირანს დაჰხვდნენ ბაღში და სთქვეს:

— ეს რა კარგი ყმაწვილი მოვიდა, მაგრამ მოკლე ხმალი აკრავსო.

მეორე დევმა სთქვა:

— მოკლე ხმალი რას აშავებს:

წამოვაგოთ შამფურზედა,
ნადვინევზედ კარგიაო.

ამის გამგონმა ამირანმა სთქვა:

ამირანო მშვენიერო,
ღვინის ფერო და მღვიერო,
მოკლე ხმალი რას მიშავებს,
ფეხი წავდგა წინა მეო.

ამოიღო ის მოკლე ხმალი და სულ ერთიანად დაჟლიტა დევები.

გახარებული ბიძები მოეხვივნენ ყელზედ თავიანთ ძმისწულს და მხსნელსა. ბიძებმა ამირანი შეიყვანეს სახლში. აქ ამირანმა ერთი რკინის ქუდი დაინახა და ჰკითხა ბიძებსა:

— ეს რა არისო?

ბიძებმა უთხრეს, ეს უსუპის ქუდია; ამას იმიტომ იხურავდა, რომ თავი არ გაჰხეთქოდა, როცა დაიყვირებდა და დაიყვირებდა ისე ხოლმე, რომ უსუპის ხმის შიშით დევებს ძღვენები მოჰქონდათო.

ამირანმაც აიღო ის რკინის ქუდი, დაიხურა, მაგრამ პატარა მოუვიდა; მერე შეიგდო მაჯებზე, გასწიე-გამოსწია, გაადიდა, გააგანიერა დაიხურა და გავიდა გარედ.

რაღა ალვის ხეზე ასვლა მინდაო, მოჰგლიჯა ალვის ხე, გაისროლა შორს და ისე დაიყვირა, რომ იმისმა ხმამ ქვეყანა შესძრა და შეაზანზარა.

სხვა დევებს გული გაჰხეთქოდათ, — ვაიმე უსუპი გაცოცხლებულაო, და აგერ ძღვენებს მოარბენინებდნენ. როცა კარგა დანაყრდნენ, ბიძები ძმისწულით წავიდნენ სანადიროდ.

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ბიძა მისნი;
მთას ირემი წამოუხტათ,
ცასა სწვდება რქანი მისნი.

---

*) ბრეთში მცხოვრებელის გლეხის განო ჩინჩალაძის ნათქვამი.

ნაირად იავადებს-იავადებს ხოლმე და მოკვდება. უბედურება ისაა, რომ ხალხი ამ ჭირით გაწყვეტილს საქონელს ატყავებს და მძორი ხევში გადმოაქვს, სადაც მთელი ორიასამის სოფლის საქონელი თავს იყრის და წყალსა ჰსვამს. შეიძლება, რომ სხვა სოფლების საქონელსაც მოედვას ეს ჭირი და ამ გაჭირვების დროს ძალიან ხელი შეუშალოს ხალხსა. მეზობელ სოფელ ჯიმითშიაც გაჩნდა ეს ჭირი და რამდენიმე ხარა და ფური იმსხვერპლა. შეიძლება, რომ ამ აყროლებულ მძორმა თვით ადამიანისათვისაც რამე საშინელი ჭირი გააჩინოს. მიკვირს, რა მიზეზია, რომ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ. თუ ჭირს ვერ მოსპობენ, აუკრძალონ მაინც სოფლელებს, რომ ზეზე ნუ ჰყრიან დახოცილის საქონლის ლეშს და დაამარხვინონ მიწაში. მე საკუთარის თვალით ვნახე გზაზე დახოცილი საქონელი, რომელიც ისე გახრწნილიყო, რომ გზაზე გავლა გამიჭირდა.

მოსავალი ყანისა, ქერისა და ფეტვისა მშვენიერია; მართალი მოგახსენოთ, მკირად მინახავს ამ ნაირი მოსავლიანი წელიწადი ყანა-მხარში. ყანები, თუმცა თხელი იყო წელს, მაგრამ ძალიან პურიანი-კი გამოდგა. ყანები თითქმის სულ დაიმკო, მაგრამ ჯერ კალოები არც კი გაუმართავთ ბევრს, რადგან ნამეტანი სიგრილეა ჰაერში და ამ გვარს გრილს დღეებში-კი კალო კარგად არ გაილეწება. ვენახებიც კარგებია, თუმცა, სამწუხაროდ, აქა-იქ ცოტა ნაცარი ეტყობა.

ზარელი

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიის საქმე უფრო და უფრო ძნელდება სახელმწიფოთა კამათობის გამო, ასე რომ თან-და-თან ძნელდება იმის გამოცნობაც, თუ რითი დაბოლოვებს ამ საქმეს ევროპის დიპლომატია, რომელიც კიდევ უფრო და უფრო თუ დახლართავს ბედ-შავის ბოლგარიის საქმეს, თორემ საბოლოვოდ გადაწყვეტით-კი ვერ გადასწყვეტს. როგორც სჩანს რუსეთისა და სხვა ქვეყნების მწერლობიდამ, პრინცი კობურგისა იძულებული იქნება უარ-ჰყოს ბოლგარიის საერო კრების გადაწყვეტილება და მთავრობაზე ხელი აიღოს, რადგანაც ყველა სახელმწიფოთა თანხმობა და მომხრეობა, და განსაკუთრებით რუსეთისა, ვერ მოიპოვა. თან-და-თან ვრწმუნდებით, რომ რუსეთის გავლენა ბოლგარიის საქმეზე უფრო და უფრო ძლიერდება; თანაც არც ის ვიცით, თუ როგორ შეხედავენ ამ გვარს გარემოებას სხვა სახელმწიფონი, რას მოიმოქმედებს თვით ბოლგარია და რა გზას დაადგება ეს უკანასკნელიკე. საქმეც ის არის, რომ თვითოეული სახელმწიფო სცდილობს ბოლგარიის საქმე თვისის სურვილისამებრ დაატრიალოს და აქედამ წარმოსდგება ის კამათობა სახელმწიფოთა შორის, რომლის შესახებ ჩვენა ვლაპარაკობთ. რუსეთის ბეჯითი მოქმედება ბოლგარიის საქმეში და საფრანგეთის სითამამე გერმანიის წინაშე იმასა ჰმოწმობს, რომ ეს ორნი სახელმწიფონი თანახმად მოქმედებენ. ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ ვიცით, თუ რა გზას დაადგებიან ინგლისი, ავსტრია და გერმანია, მაგრამ გაბედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს სახელმწიფონი ვერ მოურიგდებიან ბოლგარიის საქმის თავიანთ პოლიტიკის წინააღმდეგ მსვლელობას.

თუ პრინცი სადიპლომატიო ასპარეზიდამ ისე მიიმალა, როგორც დღემდის იყო მიმალული, მაშინ ევროპასა და ბოლგარიას ხელ-ახლავ მთავრის ამორჩევის საქმე გადაეღობება წინ. თვითოეული სახელმწიფო თავის კანდიდატს გამოიყვანს ასპარეზზე და აი, ამ საქმეში უფრო ნათლად გამოიხატება სახელმწიფოთა შორის კამათობა. სხვა კანდიდატებზედ ჯერ არა ითქმის-რა. მხოლოდ ერთის შესახებ შეგვიძლიან ვსთქვათ: ეს არის იგივე ალექსანდრე ბატტენბერგი, რომლის გამბედავმა და ენერგიულმა მოქმედებამ სრულიად არივ-დარია ევროპის დიპლომატიის მსვლელობა; ცნობაა, ვითომ ბატენბერგს ბოლგარიის დროებითს რეგენტად აირჩევენ იმ დრომდე, ვიდრე მას საშუალება მიეცემა ბოლგარიაში დაბრუნებისა, თუ კობურგმა უარი სთქვა. ეს ხმა იმასა ჰმოწმობს, თუ რამდენად ფეხი გაუდგამს ბატენბერგს ბოლგარიაში, რამდენად სახელი მოუპოვებია მას ბოლგართა შორის. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატენბერგის კანდიდატად გამოყვანა რამდენადაც თვით ბოლგარიის სურვილის შედეგია, იმდენად ინგლისის და ავსტრიის დიპლომატიის საქმეა. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსეთი ვერას გზით ვერ დასთანხმდება ბატტენბერგის თუნდაც რეგენტობაზე, რადგანაც ბატტენბერგი რუსეთის პოლიტიკის მოწინააღმდეგეა. უეჭველია, რუსეთი ვერ დაადგება იმ გზას, რომელსაც დღემდის ადგა; ამის ნებას არც საკუთარი ინტერესები მისცემენ და არც სახელმწიფო თვით-მოყვარეობა, და ბატტენბერგი-კი ისევე საცილობელ საგნად შეიქმნება ევროპის დიპლომატიისათვის. ბატტენბერგი იმოდენად გამბედავი კაცია, რომ თუ კინიცობაა ავსტრიისა და ინგლისის მომხრეობა და მფარველობა მოიპოვა, ისევე შესდგება პოლიტიკის ველიანს გზაზე და დიპლომატიას არა ერთხელ მისცემს ხელში ძნელად გამოსასვლელს საგანს, რითაც ძალიან დააფიქრებს და ნაღველს მოჰგვრის პოლიტიკის ხელმძღვანელთა.

**საფრანგეთი.** წინა დღეს ჩვენა ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პალატამ შეიწყნარა ჯარების საცდელი მობილიზაციო და ისიცა ვთქვით, თუ რა თვალით უნდა შეჰხედოს გერმანიამ ამ მობილიზაციას, მეტადრე იმ დროს, როდესაც საფრანგეთი თან-და-თან გაბედვით და თამამად მოქმედებს პოლიტიკაშიო. ბისმარკის სულის მდგომარეობა მაინც-და-მაინც სასიამოვნო და მშვიდი არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ საცაა უნდა მოველოდდეთ იმავე შეტაკებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რომელიც ამას წინად შნებელეს საქმემ გამოიწვია. ჩვენ ვამბობთ იმ საქმეზე, რომელიც პანიშა მოხდა. მკითხველს ეხსომება, რომ პანიში, რკინის გზის სადგურზე, ერთმა გერმანელმა თავის ბარგის გასინჯვის დროს რევოლვერი დასცა საფრანგეთის მოხელეს. არ ვიცით, გამოძიება რას აღმოაჩენს, მაგრამ ძალიან შესაძლებელია, რომ დიდი განხეთქილება არ გამოიწვიოს ამ საქმემ ორ სახელმწიფოთა შორის. თუ მართლაც იგი საქმე საპოლიტიკო თვისებისაა, ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ საფრანგეთი მას ისე არ დაამბოლოვებს, როგორც შნებელეს საქმე დაამბოლოვა, რადგანაც საფრანგეთი ამ უკანასკნელს ხანებში, როგორც ზემოდა ვსთქვით, მეტის გამბედაობით მოქმედებს. თუ საზოგადოდ საფრანგეთის საქმეთ დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეროვნული გრძნობა საფრანგეთის ერისა ფრთა-შესხმულია და გამხნევებული, და ამ გრძნობაზეა დამოკიდებული საფრანგეთისა და გერმანიის ერთი-ერთმანერთს შორის განწყობილება, რომელზედაც დამოკიდებულია მთელის ევროპის თავგადასავალი.

# წვრილი ამბები

— ბრძოლის ველზედ გასვლისას ყველა ჯარის-კაცს გერმანიისას მიეცემა თითო პატარა პაკეტი აირის შესახვევ ტილოებითა და მალამოთი სავსე. ამ ახალის ცვლილებით გერმანიის სამხედრო მმართველობას იმედი აქვს ბევრის ჯარის-კაცის სიცოცხლე დაიცვას, და იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი ჯარის-კაცი სულ უბრალო ჭრილობას მიიღებს ხოლმე ბრძოლის დროს და ბოლოს ეს უბრალო ჭრილობა სიკვდილის საბაბად უხდება, რადგან შეუხვევარს ჭრილობას ანთება ემართება და ან კიდევ სისხლისაგან იცლებაო; რა-კი ჯარის კაცს თან ჭრილობის შესახვევი მასალა ექმნება, თავის უბრალო ჭრილობასა და ან იარას თითონვე შეიხვევს და ამ გვარად თავიდგან სიკვდილს აიცილებსო. ამ პაკეთების შემზადება სამხედრო სამინისტროს გერმანიისას ერთის ბერლინის საზოგადოებისათვის მიუნდვია ექიმის ბერგმანნის ზედა-მხედველობით, რომელიც 200-მდე მუშა-ქალს თავს ადგა თურმე და ამზადებინებს ამ მასალას. დღეში 1,500 პაკეთი მზადდება თურმე.

— გერმანიის ქალაქს ფორსტში ერთის ძველის შენობის საძირკვლის თხრის დროს მუშებს ამოუთხრიათ ერთის კაცის ჩონჩხი; ამ კაცის ჩონჩხის გვერდზედ უპოვნიათ აგრეთვე ცხენის ჩონჩხი და ერთიც რკინის ხანჯალი. კაცის ჩონჩხის თავის სიმაღლე $12\frac{1}{2}$ გოჯი ყოფილა. ამ აღმოჩენისათვის მტკიცდება, რომ საშუალო საუკუნოებში ჩვეულებად ჰქონიათ: კეთილშობილის გვარის მეომართა გვამს ერთადა მარხავდნენ თურმე ამავე მეომრის ცხენთან და საფლავში თან ხანჯალსაც ატანდნენ. ჩონჩხებთანავე უპოვნიათ ლითონის ფული, რომლითაც ადვილად შეიტყობს კაცი, თუ რა დროს ეკუთვნის ზემოხსენებული საფლავი: ფულზედ X და XI საუკუნოება აღნიშნული.

— პაპი წელიწადში თითო ოქროს ვარდს აკურთხებს ხოლმე და უგზავნის საჩუქრად იმათ, რომელთაც რაიმე თვალ-საჩინო სამსახური მიუძღვით კათოლიკეთა ეკკლესიის მიმართ. შარშან ოქროს ვარდი პაპმა გაუგზავნა ისპანიის ქრივ-დედოფალს და წლეულს-კი პაპს გაუგზავნია ახალგაზდა ქალის კალდველისათვის (ამერიკაში) იმის გამო, რომ ამ ქალს 3.000.000 მან. შეუწირავს ამერიკის კათოლიკეთა უნივერსიტეტისათვის.

— წლეულს საზოგადოდ თეატრებს ბედი არ უღიმით. ქალაქს გურლეის (ვისკონსინშია) სახლებს ცეცხლი გასჩენია ამ რამდენისამე კვირის წინად და ამ ცეცხლს 100-მდე შენობა უმსხვერპლია. ამ დღეებში ამავე ქალაქის თეატრს ცეცხლი გაუჩნდა წარმოდგენის დროს და ოცამდე კაცი დაიღუპა ამ ცეცხლში. თეატრის დაწვით დიდი ზარალი მოსვლია გურლეის ქალაქს.

— პარიჟში ერთი კრებული გამოუციათ შემდეგის სათაურით: „Le dossier du Général Boulanger“. ამ კრებულში მოთავსებულია თურმე ყველა ის

---

ამირანმა ბომალი ჰკრა,
წითლად დასჭრა მკერდი მისი,
შვიდი დღე-ღამე იარა,
არ დაჰკარგა კვალი მისი.
მთაში ერთი კოშკი ჰპოვეს,
ცასა სწვდება წვერი მისი;
ამირანმა კარს უარა,
ვერ იპოვა კარი მისი.
ამირანმა წიხლი მიჰკრა,
იქ შეაბა კარი მისი;
შიგ ერთი მკვდარი ჰსვენია,
საწყალი და საბრალისი,
თითებსა და თითებს შუა
წიგნი უდევს ქაღალდისი.
წაიკითხა ამირანმა,
შიგ ეწერა გვარი მისა:
„არც ისე დაკარგული ვარ,
დისწული ვარ უსუპისი,
მინამ ვიყავ, მტერი ვსრისე,
მე არ წამყვა ჯავრი მისი,
ერთი ბაყბაყ დევი დამრჩა,
მოვკვდი, წამყვა ჯავრი მისი;
ვინც იმ ბაყბაყ დევს მომიკლავს,
ჩემი რაში ალალ მისი,
კარებს უკან შუბიც არის,
ის შუბიცა ალალ მისი.

ბიძებმა უთხრეს ამირანს:

— ჩვენ გაჩვენებთ ბაყბაყს დევს. იმასთან ომი ჩვენ არ შეგვეძლიან და შენი კი არ ვიცით; სხვა არა იყოსრა, ერთი პირ-ცეცხლი დედა ჰყავს, იმას ვერ გადვურჩებითო.

ადგა ამირან წავიდა,
იპოვნა კვალი დევისა.
ამირან და სულკალმახი
ორივ ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ჰლესავს,
სულკალმახი უწყობს პირსა.

ენახოთ დევი მოდის მთასავით და მოჰბუტბუტობს:

— ცოცხალი ვერ ჩაიგდე ხელში და მკვდარს ავილებ და ძაღლებს მივცემო.

დევი დინჯად მოაბიჯებს,
დედა-მიწა შეიძვრისა.
ამირანმა შეუძახა:
— შენ კაცო-კაცო, ვინ ხარო?
სახელი შენი მითხარო?
— შენ ჩემს სახელს რად კითხულობ,
ვინა ვარ და სად მივალო;
უსუპის დისწული მოკვდა,
იმის საჭმელად მივალო!
— ადამიანს ვინ შეგაჭმევს?!
შენთან საომრად მოვალო!
ამირან—დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი დასვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი!

ბიძებმა უთხრეს:

— მაგ მყრალს დევს ცოცხალს ნუ გაუშვებ, თორემ მაგის დედას ცოცხლები აქედამ ვერ წაუვალთო.

ამირანმა უთხრა:

— მთელი დევი იყო, ვერა დამაკლო-რა და დალეწილ-დაჩეხილი რაღას მიზამსო; მაგის დედასაც ღვთის მადლით გადავურჩებიო.

დალეწილ-დამტვრეული ბაყბაყი წავიდა ღრიალით დედასთან.

ენახოთ, აგერ დედა მორბის და პირიდგან ცეცხლსა ჰყრის.

ბიძებმა ამირანს უთხრეს:

— მზადა გქონდეს ერთი გუდა ნაცარი და ერთი გუდა თაფლი; როცა ბაყბაყის დედა გეტყვის: მაჭამე რამეო, აიღე და ჯერ თაფლი მიე, მერე ნაცარი. მართლაც დევის დედამ უთხრა ამირანს: მაჭამე რამეო და ერთ წუთის სიცოცხლეს მოგანიჭებო. ამირანმა ერთი გუდა თაფლი მისცა; მასუკან კიდევ მოსთხოვა თაფლი და დაჰპირდა ნახევარ წუთის სიცოცხლეს. ამირანმა აიღო ნაცრით სავსე გუდა და თავზე ჩამოაცვა, მოუსვა ხმალი და მოსჭრა თავი.

ამირანმა და ბიძებმა დამარხეს კოშკში რომ მკვდარი იყო და წამოვიდნენ შინ. გზაში სამი გველეშაპი შეჰხვდათ. ამირანმა ბიძებს უთხრა.

— სამნი ჩვენ ვართ, სამნი გველეშაპნი, მოდით დავხოცოთ, თორემ ვინ რას იტყვის, დარუჯანაანთ გველეშაპებისა შეშინებიათო. ამოიღო ხმალი ამირანმა, ჯერ ერთს მოსჭრა თავი, მერე მეორესა,—მესამეზე რაღა ხმალი მინდაო, დაადგა ერთ ლაყუჩზედ ფეხი, მეორე ლაყუჩს მოჰკიდა ხელი, აპწია ლონივრად, რომ გაჰგლიჯოს, და აი ამ დროს წყეულმა გველეშაპმა ჩაყლაპა. ბიძებმა გველეშაპს ამირანის ხმლით ცხრა ადლი ბოლო მოსჭრეს. ბოლო მოჭრილი გველეშაპი მივიდა თავის დედასთან და უთხრა:

— დედა, მუცელსა მგლეჯავსო.

— ქია-ღუას შესჭამდი; ან და იქმნება შვილო დარუჯანაანთი ვინმე შესჭამე?!.

— ქია-ღუა კი არა, თვითონ ამირანი შევჭამეო.

დედამ ეს რომ გაიგონა, წამოიძახა:

— აი დაგიდგა თვალი! მკვდარი იქმნება — გაცოცხლდება, ცოცხალი და—კეთილს არას დაგაყრისო. შესძახე ამირანს, გამოვიდესო.

გველეშაპმა შესძახა. ამირანმა მუცლიდგან გამოსძახა:

— საიდგან გამოვიდე: პირიდგან გამოვიდე — ნარწყევლს დამიძახებენ, გვერდიდგან გამოვიდე—გვერდელას დამიძახებენო.

ამ დროს ერდოდგან მოუარეს ბიძებმა და ჩასძახეს ამირანს:

დარუჯანაანთ იციან,
ჩვენ მას ჩადება დანისა,
ამოიღე და გასჭერი
წიბონი გველეშაპისა.

გასჭრა ამირანმა წიბო და გამოვიდა: საწყალს წვერ-ულვაში სულ გასცვივნოდა. ერთმა ბიძამ დასცინა:

ამირანი დაიბადა,
გოჭსა ჰგავდა ხუხალოზსა,
წვერ-ულვაში გასცვივნოდა,
ჩაეყარა მუქაროსა.

მერე ბიძიამ-კი გული გაუკეთა:

მინდორშია დავდიოდი,
დავკრიბე ვარდი-სოსანი,
ამირან, ნუ გეწყინება
სხვანიც არიან ქოსანი;
თხასაც ასხია ბალანი,
ჩალად-კი არ ღირს თმოსანი.

ამირანი ჩავიდა წყაროზედ, რომელიც იქვე ფერდოში გამოჩახჩახებდა, დაიბანა ხელ-პირი და უკეთესი წვერულვაში ამოუვიდა. შემდეგ სამთავენი წამოვიდნენ სახლში. გზაში ჯაგებიდგან ერთი დევი წამოუხტათ. ამირანმა ერთი საშინლად დასჭყივლა და იქვე დაიჭირა. დევმა უთხრა:

— ამირანო, ოღონდ ნუ მომკლავ და ზღვის გაღმა გასწაველი ქალსა, სახელად ერქვას ქალ-გამაო.

— რომ მომკლას ვინმე, იქით სად მისტუმრებო,—უთხრა ამირანმა.

— არა, არ მოგკლენ. იმ მზეთუნახავს ქალს ჰყავს ერთი ვირი და ერთი მგელი. ერთი ცხვარი მგელს წაულე და ერთი ბულული თივა კიდევ ვირს წაულე.

(შემდეგი იქნება)

წერილები, რაც-კი რამ დაწერილა ბულან-ჟეზე ამ გენერალს წელიწად ნახევრის მინისტრობის დროის განმავლობაში. ამ კრებულში დაბეჭდილია საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთების აზრი ბულანჟეზე, კარიკატურები, ლექსები, სურათები, ბიოგრაფიები და ბიბლიოგრაფიები, — ერთის სიტყვით, ავიცა და კარგიც, უბრალოცა და ბრალიანიც, ყველაფერი, რაც ბულან-ჟეს გამოისობით თქმულა და დაწერილა. წიგნი რამდენსამე თავად არის გაყოფილი: სჯა და ლაშქრაკი ჯარის-კაცთა წვერ-ულვაშზედ; 14 ივლისის აღლუმი; უთანხმოება გენერალ სოსიესთან; სამხედრო კლუბი; ბულანჟეს წერილები ჭერცოგ ომალისთან; ბულანჟე სორბონსა, რუსეთსა და გერმანიაში; ბულანჟე სურათებზე; ბულანჟე ჩაბუხის ტარებზე დახატული და სხ. ეს წიგნი ძალიან იყიდება თურმე.

## გასართობი

ახირებული საჩუქრები. სხვა-და-სხვა საჩუქართა შორის, რომელიც ინგლისის დედოფალს ვიქტორიას მოჰსვლია იუბილეის დღესასწაულის გამო, ბევრი თავისებური და არიგინალური საჩუქარიცა ყოფილა. მაგალითებრ, დედოფლის ერთს ურთგულესს ქვეშევრდომს დედოფლისათვის იუბილეის დღეს გამოუგზავნია თავისი სურათი, რომელსაც ზედ-წარწერაცა ჰქონია. ამ ზედ-წარწერაში ნათქვამი იყო თურმე, რომ დედოფლის ვიქტორიას ქვეშევრდომებში ყველაზედ სქელი და მძიმე ქვეშევრდომი მე ვარ: ორმოცის წლისა ვიქნები და 13 ფუთს ვიწონი. მეორე თავისებური საჩუქარი დედოფლისათვის შეუმზადებია დურგამის ერთის მადნის-მთხრელის ცხრა წლის ქალს. ამ პატარა ქალს მთელი წელიწადი ფული უგროვებია, გროში-გროშზედ დაუდვია, ძაფი უყიდნია და წინდები მოუქსოვნია დედოფლისათვის. ხოლო ჰენრიხ პონსონბის წინდები უკანვე დაუბრუნებია ქალისათვის და გამოუცხადებია, რომ მაგისთანა საჩუქრებს ვერ მიიღებს დედოფალიო. ეს უარი ქალს ძალიანა სწყენია. მთელი ეს ამბავი გაზეთებს შეუტყვიათ და ერთი ალიაქოთი ატეხილა. ზოგიერთს გაზეთებს ხელის-მოწერა გაუმართავთ მადნის-მთხრელის პატარა-ქალის სასარგებლოდ.

## დეპეშა

14 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის თაობაზედ, რომ ცალკ-ცალკე საზოგადოებათ განაწილდეს ის სოფლები, რომელნიც ეხლა რამდენიმენი ერთად ერთს საზოგადოებას შეადგენენო.

გარდაიცვალა მოგზაური მიხეილ კონსტანტინეს ძე სიდოროვი.

15 ივლისი

მოსკოვი. 15 ივლისიდამ დიდრონ ფაბრიკების პატრონები და მოვაჭრეები კიდევ აპირობენ მოუმატონ ფასი ჩითეულობასა. მომავალს ნიჟე-გოროდის იარმუკაზე, როგორც სჩანს, სავაჭრო საქონელი საკმაოდ არ იქნება მოტანილი, მეტადრე ცოტა იქნება ტანთსაცმელი და თახახიანი მიტკლები. მოსკოვში იწევს ფასი ძაფეულობასა და მიტკლეულობაზე.

### პეტერბურგის ბირჟა, 14-ს ივლისს ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 37 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 259½ |
| — მეორისა | — » | — » | 249½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნა დღეები—14.

მკათათვე 31 დღით არის

16 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ათინოგენისა და ათთა მოწამეთა. კათოლ. ბენედიქტესი და ანდრიასი. სომეხ. წინასწარ-მეტყველის ისაიასი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22. მთვარე 9 დღისაა,

17 დღე პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. მარინასი და ლირს. ლაზარესი. კათოლ. ალექსისა და მარცელინასი. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—28. მთვარე 10 დღისაა.

18 დღე შაბათი. მოწ. იაკინთესი და ღირს. იოანნესი. კათოლ. სვიმონისა და კამილასი. სომეხ. მოციქ. თადეოზისა და სანდუხტა ქალწულისა. მუსულ. მე-10 რიცხვი ზილ-ყაადეს თთვისა, 1304 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 11 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | » |
| 1-ლის ხარისხისა | 4 | » |
| მე-2 ხარისხისა | » | » |
| მე-3 — | 7 | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 13 | » |
| სუკი. | 8 | » |
| ცხვრის ხორცი | » | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკისა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილის ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჩის რომ ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 1) | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | ხამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| ხამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსია და მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჯორჯიკია

(6—2)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა. | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთვისა. | 1 | » |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფიელ ერისთვისა. | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფიელ ერისთვისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა | » | 50 |
| ციკო, მისივე. | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | » | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი | » | 55 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მისი. | » | 15 |
| ქართული ანდაზები. | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | » | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა. | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | » | 30 |

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები

II

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—10)


Дозв. цен. Тиф. 15 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე